N 7
19.02.2024

7-27-4-202402191253

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანის ბრძანება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კრედიტების აღიარების საფაკულტეტო
კომისიის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის N111/2013 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-3 და მე-7 მუხლების, ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 05 ნოემბრის №105/2012 დადგენილებით დამტკიცებული „უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“, ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №74/2012 დადგენილებით დამტკიცებული „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ N1 დანართის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. თეიმურაზ პაპასქირი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე
1.2. დარეჯან გარდავაძე – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
1.3. ზაალ გოგენია – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

1.4. თეა თათეშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
1.5. სოფიო პაპიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
1.6. თინათინ ჩოლოყაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
1.7. ნინო კვირიკაშვილი–კომისიის მდივანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
2. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობის დროებით შესრულება დაევალოს ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს, დარეჯან გარდავაძეს.
3. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, კრედიტების აღიარების პროცესში ჩართოს პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი, დარგის სპეციალისტი (აკადემიური ან მოწვეული პერსონალი).
4. ბრძანების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურს.
5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნანა გაფრინდაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი